ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 60
მარტის 15, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 60
მარტის 15, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რედაქცია გაზ. „ივერიისა“ აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ამ მარტს გარდაიცვალა პეტერბურგში ცნობილი პოეტი და „ივერიის“ თანამშრომლად ყოფილი

თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე.

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება კვირას, 16 ამ მარტს, დილის 11 საათზედ, ქვაშვეთის ეკლესიაში (3—რ—2)

შორაპნის მაზრის მარშალი თავ სვიმონ დავითის ძე წერეთელი და **ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. პეტერბურგში, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათი ბიძაშვილი, ქართველი პოეტი,

თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე

და სთხოვენ მათ მობრძანდნენ კვირას, 16 მარტს ქ. ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში, სადაც **იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდეს** მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

ამავე დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის საგვარეულო მონასტერში ს. კაცხში.

მიცვალებულის გვამი დროებით დაკრძალულ იქმნება ქ. პეტერბურგში. (3—6—3)

კნეინა ანნა ალექსი ელიავას ასული, ქსენია, ელენა და ნინა ნიკოლოზის ასულნი, ფარსადან და მიხეილ გიორგის ძენი მიქელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლისას, მეორენი—მამისას, ხოლო მესამენი—ძმისას

თავ. ნიკო გიორგის ძის მიქელაძისას.

სთხოვენ მიბრძანდნენ გამოსვენებასა და ტირილზედ ამა მარტის 16, კვირას, დილის 9 საათზედ, სოფ. კულაშში, საკუთარს სახლში. (1—6—1)

ა. ი. მანთაშევის ქარვასლაში

შუა ბაზარი №№ 39—45

გაიხსნა

სხვა-და სხვა განყოფილება და საწყობი

ნარდათ გასაყიდი

მაუდეულობის საქონლისა.

სავაჭრო სახლი.

ს. გ. პირაპეტოვის, ზ. გ, ოჯანეჟოვის და ამხ—ისა

ვსთხოვთ
პატივცემულ
საზოგადოებას
მომავალ ვაზაფხულის
სეზონისთვის თვით დარწმუნდეს
ჩვენის საქონლის სიიაფესა და ღირსებაში

განყოფილება იმყოფება

კავკაზში, გროზნაში, გიორგიევსკასა და ქუთაისში

ვაჭრობა ძალიან პირიანია. ფასი გადაჭრილია.

ფირმა არსებობს 1868 წლიდგან.

(6—56—3)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩოურსოსაჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—11)

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 30 მარტს, დილის 11 საათზე, ფოთის ქალაქის მმართველობის სადგომში დანიშნულია წევრთა წლიური საზოგადო კრება:

1) განსახილველად და დასამტკიცებლად 1902 წლის ანგარიშისა.

2) დამტკიცება 1903 წლის მომავალი ხარჯთაღრიცხვისა.

3) ამორჩევა რჩევის ოთხის დეპუტატისა, მათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

4) ამორჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის მათის კანდიდატისა.

საზოგადოების 36 §-ის ძალით, ვექილობა, კრებაზე მონაწილეობის მისაღებად, უნდა გასასინჯათ წარმოადგინონ მმართველობაში სამი დღით ადრე კრების დაწყებამდე. ესე იგი არა უგვიანეს 26 მარტისა.

(3—6.—3)

№ 42. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 მარტს

ს. სვიმონიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქმედებ. ბ-ლისა. აზრი აღებულია მეტერლინკის „მონ ნავანადან“.

II

ბედნიერი ცოლქმობა

ვოდევ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, დედაბრიშვილი, იორდანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად გ. იბსენის პატივსაცემლად „ნორა“, „მედია“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კვირას, 16 მარტს 1903 წელს

ტფილისის სობრანიეში გაიმართება ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა, კონცერტით, თეატრის მოყვარულთა მონაწილეობით.

I

ქართულად.

თაიგული

ერთ მოქმედ, ვოდევილი პოტაპენკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. ისაკოვისა, ნ. ნაკაშიძისა, ს. რომანიშვილი. ს. ციციშვილი, ბ-ნნი იოს. ქუთათელაძე და ალ. ყანჩელი.

II

რუსულად.

ЖУЖУ

ერთ მოქმედ. ვოდევილი ვოლკოვსკისა.

მონაწილებას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ა. ხატისოვის ასული, ონენსკისა, გალინისა, ბ-ნნი ა. დ. ამალინი, მამინი და ჩიმიშკინი.

III

კონცერტის განყოფილება.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებიისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

გ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშ:რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიღკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 15 მარტი.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ჩვენმა სასულიერო მთავრობამ, საერო მთავრობასთან ერთად, ყურადღება მიაქცია სასულიერო სასწავლებლების მოწესრიგებას და პროგრამების შეცვლა განიზრახა. ამ საგნის შესახებ. ორი კრება უკვე მოჰხდა ტფილისში: ერთი აგვისტოს მიწურულებში და მეორეც ამ წლის იანვრის დამდეგს.

კრებაზედ მიწვეულნი იყვნენ სასულიერო სასწავლებლის უფროსნი. მეორე კრებაზედ, სხვათა შორის, უნდა განეხილათ სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების პროგრამაც, რათა შესაფერი ცვლილება მოეხდინათ, მაგრამ ეს საკითხი შემდეგ კრებისთვის გადაიდო, რომელიც აღდგომის უქმეებში უნდა მოჰხდეს მასწავლებლების თანადასწრებით.

საქართველოს ეპარქიაში სულ სამი სასულიერო სასწავლებელია, ხოლო მთლად საქართველოში—ექვსი. ყოველ მათგანს თან ახლავს ორი, ან სამი მოსამზადებელი კლასი. ჩვენი სამღვდელოება თავის ხარჯით ინახავს ამ კლასებს და იქ სწავლობენ მათივე შვილები. ეს კლასები საძირკველია სასულიერო სასწავლებლისა. ამიტომ თუ ცვლილება-გაუმჯობესობა იქმნება, პირველად აქედან უნდა იწყებოდეს ეს საქმე.

სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში ოთხ უმთავრეს საგანს ასწავლიან: საღმრთო ისტორიას, რუსულს, ქართულს და ანგარიშს. საღმრთო ისტორიის სწავლება მოსამზადებელ კლასებში, პირველ ნახევარ წლის გარდა, სულ რუსულ ენაზედ სწარმოობს. ეს გარემოება მეტად აფერხებს ამ საგნის სწავლებას; გარდა ამისა ცუდი შედეგიც მოსდევს. ვგონებთ, ეხლა დაფარული აღარავისთვის არ არის, რომ სადაც ქართველი ბავშვები სწავლობენ, საღმრთო ისტორია, პირველ სამ წელიწადს მაინც, სამშობლო ენაზედ უნდა ისწავლებოდეს. ამ აზრს მისდევენ ქართველი პედაგოგები, ამასვე ჰმოწმობენ უცხოელი და რუსეთის მიუდგომელნი პედაგოგნიც.

აი, რას ამბობს, სხვათა შორის, ამ საგნის შესახებ ცნობილი რუსის მოღვაწე-პედაგოგი ბაბროვნიკოვი, დირექტორი ყაზანის სასტატო სემინარიისა თავის თხზულებაში: Что такое хорошій урокъ“: Устное преподаванie учебнаго предмета на языкѣ, котораго дѣти не понимаютъ или даже только понимаютъ не вполнѣ отчетливо, есть педагогическій абсурдъ. Не меньшимъ абсурдомъ является изученie священной исторiи по книгѣ учениками, которые только изучаютъ элементы русскзго языка“. („Что т. хор. ур.“ Бобр., стр. 129).

ამავე ადგილას პატივცემული ავტორი განაგრძობს: „Смѣю утверждать, что заучиванie священной исторiи на языкѣ, не достаточно извѣстномъ, не только не приноситъ пользы изученiю русскаго языка, но вредитъ и школѣ, и самому учебному предмету, и преподавателю его“.

აწინდელ სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში სამღრთო ისტორიის სწავლას ერთი ორად აძნელებს ის სახელმძღვანელო, რომლის საშუალებითაც ამ საგანს სწავლობენ. ეს სახელმძღვანელო („Начальное наставленіе въ православной вѣрѣ“) მეტად ძნელად გასაგების ენით არის დაწერილი და ამასთან პერიოდებით. ჩვენი ბავშვები იმ ხანში ძლივს ითვისებენ პატარ-პატარა ლექსებს და მოთხრობებს, განგებ მათთვის დაწერილებს და, აბა, როგორ ისწავლიან ამ სახელმძღვანელოში მოთავსებულ გძელ ისტორიულ ამბებს, სახელებს, ფაქტებს? მართალია, მასწავლებელი უხსნის ისტორიებს, უფლებაცა აქვს პროგრამის ძალით ქართულად უთარგმნოს, მაგრამ ასეთი უფლება სრულიად ამაოა. ისტორიის მასწავლებელს არა აქვს არც დრო და არც საშუალება, რომ ბავშვებს დაასწავლოს აუარებელი უცნობი სიტყვები და მერე ამ სიტყვებს მოთხრობითი კილო მისცეს.

აღნიშნული სახელმძღვანელოთი სამღთო ისტორიის სწავლებას, გარდა სიძნელისა, ზარალიც მოაქვს ბავშვებისათვის. მომეტებული მათგანი ვერ ასდის შრომას, ჰხედავს რომ მისი ძალ-ღონე საკმარისი არ არის ამ გვარ სწავლისთვის და დღეს-ხვალობით იზიზღებს სკოლას, მასწავლებელს და ბოლოს სასწავლებელს სამუდამოდაც-კი ეთხოვება.

მოსწავლეთა შორის მართალია არიან ხოლმე ისეთნიც, რომელნიც არ უდრკებიან ამ გვარ შრომას და ზოგიერთა მასწავლებელთა სასიხარულოდ, თუთიყუშივით ზეპირად სწავლობენ გძელ-გრძელ ისტორიებს, მაგრამ ასეთი შეგირდებიც არ არიან უკეთეს ყოფაში. ჯერ ერთი რომ ისინი ეჩვევიან უაზრო, მექანიკურ კითხვას და ამ ნაირად გონებას იბნელებენ. მეორე კიდევ —იმდენ ენერგიას, იმდენ ძალ-ღონეს ჰხარჯავენ ამგვარ სწავლაში, რომ სამი-ოთხის წლის შემდეგ ხალისი ეკარგებათ და სრულიად უღონონი და უვარგისნი ჰხდებიან სწავლის განგრძობისათვის.

ცნობილია სასულიერო სასწავლებლებში ნამსახურთაგან, რომ მომეტებული ნაწილი მოსამზადებელ კლასების საუკეთესო შეგირდებისა შემდეგს კლასებში თანდათან სუსტდებიან, სასწავლებელს ან იავს ანებებენ და ან ვაივაგლახით ასრულებენ კურსს. სამღრთო ისტორია ისეთი საგანია, რომ შეგირდმა, არამც თუ უნდა ისწავლოს, უნდა შეიყვაროს კიდეც, უნდა მის ზნეობრივ გავლენას დაუმორჩილოს მთელი თავისი არსება. დღეს-კი ეს საგანი რაღაც სატანჯველ საგნად გადაქცეულა.

ამნაირად, სამღრთო რჯულის ისტორიის ქართულად სწავლება ჩვენს სასულიერო სკოლებში აუცილებლივ საჭიროა და ეს არ ეწინააღმდეგება არც პედაგოგიის და არც სხვა რომელსამე მოსაზრებას. პირიქით ამას მოითხოვს პირდაპირი ინტერესი მთავრობისა, საზოგადოებისა და შეგირდებისა. სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში ისტორიების ქართულად სწავლება მით უფრო მოსახერხებელია, რომ იმავე ისტორიებს სავსებით სწავლობენ რუსულად იმავე სასწავლებლების პირველსა და მეორე კლასში. მაშასადამე, ადრიანად სწავლება ამ ისტორიებისა უნაყოფოა, მეტი და მაზარალებელია ბავშვისთვის.

რაიცა შეეხება სხვა უმთავრესს საგნების სწავლებას სასულიერო სასწავლებლებში, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი

✦ ჩვენ გვწერს დეპეშით ცხინვალიდან გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი: გავიგე რომ დიდი შემოწირულება მოუძღვნიათ განსვენებულ კონსტანტინე ზუბალაშვილის მემკვიდრეებს მთლად ქართველთათვის ძვირფას საქმისათვის—სათავად-აზნაურო სკოლის შენობის დასამთავრებლად. ცხინვალის მიდამოს მცხოვრებთა მინდობილობით, ვსთხოვ რედაქციას, ნება მომცეს, გამოვუცხადო უხვ შემომწირველთ გულითადი მადლობა.

✦ აღდგომის უქმეებში დანიშნულია სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა და მასწავლებელთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს დღევანდელი პროგრამა სასულიერო სასწავლებლებისა და გამოსთქვას თავისი აზრი მისის შეცვლისა და შეკეთების შესახებ.

✦ „ნოვ. ობ.“-ეს შეუტავია, რომ ამ აპრილში საერო-განათლების სამინისტრო აპირობს გაჰმართოს პეტერბურგში კრება კავკასიის სახალხო სკოლების მასწავლებლებისა იმ განზრახვით, რომ ამ კრებამ შეიმუშაოს ახალი სამოსწავლო გეგმა კავკასიის სახალხო სკოლებისათვის.

✦ ის საპედაგოგიო წერილები ბ-ნი სიმონიძისა, რომელიც ამას წინად დაიბეჭდა ზემოხსენებულ გაზეთში ამ სათაურით! „объ одной изъ злобъ дня“ და „Какъ улучить начальную кавказскую школу?“, ამ ჟამად ცალკე წიგნად იბეჭდება და აპრილისათვის მზად იქნება გასასყიდად.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი რუსული წიგნი „Культурно-экономическія замѣтки“, ეგ იოსელიანისა. წიგნში ბევრი საყურადღებო საგანია განხილული კრედიტისა და მეურნეობისა, პროტექციონიზმისა და ტარიფისა, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისა და სხვა ჩვენებურ საჭირ-ბოროტო საგნის შესახებ. წიგნში 158 გვერდია.

✦ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ობოზრენიე“-ს, 13 მარტს დაასაფლავეს ქართველი პოეტი გრიგოლ აბაშიძეო; კუბოს ამკობდნენ გვირგვინები, სტუდენტთაგან და აქაურ ქართველ საზოგადოებისაგან მიძღვნილნი. სიტყვა წარმოსთქვა ოზურგეთის ქალაქის თავად ნამყოფმა თავ. თავდგირიძემ და სტუდენტმა ყაზახაშვილმა.

✦ 7 მაისიდგან დრეზდენში დაიწყება გერმანელთა საზოგადო პირველი გამოფენა. გამოფენა გათავდება 18 სექტემბერს ამა წლისას.

✦ ქალაქის პირველ თაყშესაფარში 1902 წლის განმავლობაში მისულა 34,688 კაცი, 2,515—ქალი. ეროვნებით თავშესაფარში მისულნი ასე განაყოფებიან: რუსი—14,434 კაცი, 1,601—ქალი; სომეხი—13,070—კაცი, 531 ქალი, ქართველი—3,028 კაცი, 234 ქალი. ყველაზედ მეტი დღიური მუშები ყოფილან. ყოფილან აგრეთვე მასწავლებელნი (18), სტუდენტები (8) და სხვა.

✦ სამკურნალო გამგეობას ცნობანი მოუვიდა, გორისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაჩნდაო. სამკურნალო გამგეობამ დაუყოვნებლად გაგზავნა ხსენებულ მაზრაში მცხოვრებთა სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი.

✦ კვირას, 9 მარტს, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ამ წელს მესამედ გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა. მოსწავლეთ წაიკითხეს მრავალი ლექსი და სთქვეს სახალხო სიმღერები.

✦ ხმები ისმის, საერო განათლების სამინისტროსთან ამ აპრილში დანიშნულია კავკასიის მასწავლებელ-კაცთა და მასწავლებელ-ქალთა კრებაო. კრება განიხილავს საკითხს კავკასიის სკოლების გარდაკეთების შესახებ.

✦ ქუთაისში ცნობა მოსულა, ჭიათურის შტოზედ ტარიფის დაკლების შესახებ საკითხს პეტერბურგის სატარიფო კომიტეტი 26 მარტს განიხილავსო.

✦ ჩვენ გავიგეთ, ამ კვირია ჩამოვა პეტერბურგიდგან საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი თ-დი გოლიცინი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და რევიზია უნდა მოახდინოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის სასწავლებელთა. კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლეს ქ. გოლიცინისას უთხოვნია ბ-ნ რევიზორისთვის განსაკუთრებითი ყურადღებით დაათვალიერე ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელიო. როგორც ვიცით, მთავარმმართებლის მეუღლე თავმჯდომარეა ხსენებულ სასწავლებლის სამზრუნველო საზოგადოებისა.

✦ კავკასიის მინერალურ წყლების ინსპექციას 5 მაისს კრება ექმნება. კრებამ უნდა დაადგინოს, ვის აქვს უფლება ბაქოს გუბერნიის წყლებით სარგებლობისა.

✦ რკინის გზის მკურნალთ დაევალათ, რკინის გზის აგენტებს იმდენი მაინც ასწავლონ, რომ უბედურ შემთხვევებში პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ავადმყოფთა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ი. კ. ივანოვსკი ამ კვირას პეტერბურგიდგან, სადაც სამსახურის საქმეთა გამო იყო წასული, ტფილისში დაბრუნდება.

✦ დღეს, 15 მარტს, კრება ექმნება ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისიას. კომისიამ უნდა განიხილოს, თუ რა გააკეთა გამგეობამ ქალაქის გასაუმჯობესებლად 1901 წელს.

✦ ამას წინად ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ შეუთვალა გამგეობას, შესცვალეთ ის წესი, რომელიც ეხლა სუფევს ქალაქის საყასბოებშიო. ქალაქის გამგეობამ, თანახმად საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს ჩვენებისა, შეასწორა და ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად სავალდებულო დადგენილება საყასბოების მოწყობილების შესახებ.

✦ დღეს, 15 მარტს, დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრება ამ დღეს პატივსა სცემს განსვენებულს ექიმს პავლოვსკის ხსენებას და, ამას გარდა, მოისმენს რამდენიმე მორიგ საქმეებს.

✦ 23 მარტს დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის საგომეოპატიო საზოგადოების წევრთა. კრება დაიწყება ნაშუადღევის პირველ საათზედ, საგომეოპატიო აფთიაქის სადგომში.

✦ როგორც გავიგეთ, უწმინდესს სინოდს ნება დაურთავს, სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში სახალხო კითხვები გაიმართოს. იმედია, სოფლის მასწავლებელნი ისარგებლებენ ამ განკარგულებით და ხშირ-ხშირად მიაწოდებენ სოფლელთ სულიერ საზრდოს.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია მაისში წავა დ. შულავერში, სადაც დარჩება 3-დგან 13 მაისამდე.

✦ მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს უნდა წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობანი იმის შესახებ, თუ ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი რამდენია, და ან როგორ განიყოფება ეროვნებით.

✦ ამას წინად ტფილისის ფარმაცევტთა საზოგადოებამ შეადგინა თავისი წესდების პროექტი. ეს პროექტი ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ ტფილისის პოლიცმეისტერს გადასცა და სთხოვა საზოგადოების დამაარსებელთ შეატყობინე, შეასწორონ პროექტი, თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩვენებისაო.

✦ დღეს, 15 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება. კრება მოისმენს ს. მ. არწრუნისა და მ. ათაბეგოვის მოხსენებას: ჩვენის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხის შესახებ.

✦ გუშინ, 14 მარტს, ქალაქის გამგეობა შეუდგა ქალაქის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

✦ ქალაქის გამგეობას ტფილისის გუბერნატორმა მისწერა, შეაკეთეთ ჭავჭავაძის ქ., რომელიც ამ ჟამად ძალიან ცუდ მდგომარეობაშიაო.

✦ 20 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატა, სხვათა შორის განიხილავს საქმეს სოფ. სავანის—შორაპნის მაზრაში მცხოვრების ფასია აბაშიძისას, რომელმაც წინააღმდეგობა გიუწია პოლიციას.

✦ ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტს მაზრის უფროსებმა 15 აპრილამდე უნდა აცნობონ, როგორი პირი უჩანს წრეულ მოსავალს.

✦ მწუნეთის ქუჩაზედ ამ ორიოდე დღის შემდეგ დაიწყებს მიმოსვლას ვაგონები ცხენის რკინის გზისა. გზას ხელ-ახლად აკეთებენ ამ ჟამად, დღეს თუ ხვალ გაათავებენ.

✦ 11 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა შორაპნის მაზრის მცხოვრებს ნოშრევან ნიკაჭაძეს, რომელმაც თავისი მეზობელი მოჰკლა.

✦ ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოში უკანასკნელ კვირას იყო 47 კაცი. საზოგადოდ, ეს სენი ძალიან გავრცელდა ტფილისში.

✦ ამ დღეებში ახალ ქალაქში წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია ამ ქალაქში 20 მარტამდე დარჩება.

✦ ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეთ იმოგზაურეს ტფილისიდგან მცხეთამდე. მოსწავლენი, დილით წასულნი, საღამოთი დაბრუნდნენ.

✦ მკითხველებმა უწყიან, რომ დიდუბე ხშირად ზარალდება ხოლმე გაზაფხულზედ, წყალ-დიდობის დროს. დიდუბეში მცხოვრებთ ამ დღეებში სთხოვეს ქალაქის გამგეობას, მიიღეთ რაიმე ღონის-ძიებანი წყლის წინააღმდეგ. მცხოვრებთა აზრით, საჭიროა, მეტი სიღრმე მიეცეს დიდუბის უმთავრესს რუს, რომელშიაც იწურება სხვა რუების წყალიც.

ცხოვრების სურათები.

პეტერბურგში სურათების გამოფენაზე ერთი არა ჩვეულებრივი სურათი გამოჰფინა მხატვარმა ბუნინმა: რუსეთის განთქმული მწერლები—ლ. ტოლსტოი, მ. გორკი, ჩეხოვი და მხატვარი რეპინი, თითქმის შიშველნი, თევზის ჭერაში არიან გართულნი. პირველ გეგმაზე მხცოვანი ლევ ნიკოლაიჩის ფიგურაა წარმოდგენილი პერანგის ამარა.

მთელი საზოგადოება აღელვა ამ საზღვარგადასულმა მხატვრის თავხედობამ. ერთმა მაყურებელთაგანმა ამოიღო კარანდაში და დააწერა სურათზე სიტყვა: „საძაგლობა!“

დავაკვირდეთ, მკითხველო, ამ მოვლენას. ჩვენი დროის ვითარების დამახასიათებელია იგი და მნიშვნელოვანი. თავისი სახელის განსადიდებლად მხატვარმა შელახა საზოგადოების წმინდა გრძნობანი, საზოგადოების ღრმა პატივისცემა წარჩინებულ მწერალთა მიმართ. მხატვარმა თავისი ურცხვობა საქვეყნოდ გამოფინა. ეს თავგასულობა განსაკუთრებული თავგასულობა. მას ნიადაგი აქვს ჩვენ დროის მხატვრობა-მწერლობაში საკმაოდ ფესვ-გადგმულს დეკადენტობას და ფილოსოფოს ნიჩშეს მოძღვრებას. დეკადენტობას ცხოვრებაში შეიძლება შერეკილობა უწოდოთ, ნიჩშეს თეორიას-კი სიგიჟე. სიტყვა დეკადენტობა ნიშნავს—დაცემას, დამხობას მწერლობისა და მხატვრობის. დეკადენტი ეძებს თავის ხელობის მასალად რაიმე არა-ჩვეულებრივ, საოცარსა და მოულოდნელ შემთხვევასა და მოვლენას; თვალს არიდებს ცხოვრების ღრმამნიშვნელოვან მდინარებას, მარტივ მოვლენათ, რომელნიც ღრმა შინაარსით არიან სავსენი, მაგალ. ადამიანის დაბადება, მისი სულიერი ზრდა-განვითარება, ვნებათა წინააღმდეგ ბრძოლა, გამარჯვება მათზე ან მათგან დაჩაგვრა, სხვა-და-სხვა გარემოებათა გავლენა ადამიანზედ, სქესთა შორის დამოკიდებულება, ადამიანის სიკვდილი და სხვა.—და ეძებს არა-ჩვეულებრივ მოვლენათ, რომელ-

---

ფელეტონი

ნაწყვეტი

დაუსრულებელ რომანისა.

(დასასრული *)

საშინელის გულის ცემით ვუახლოვდებოდი ჩემს სახლს. გზაში სულ იმის ფიქრში ვიყავ, როგორ მიმიღებს მარო, რას მეტყვისმეთქი; გაჯავრებული, წარბ-შეკრულის სახით დამიხვდება, მომაყრის საყვედურებს, ბრალს დამდებს, გულ-ქვაობასა, უმადურობასა და ღალატს დამწამებს, თუ ჩვეულებრივ დამშვიდებულის სახით მომეგებება კარებში და, მომაპყრობს რა თავის კეთილს, ცოტათი მჭმუნვარე თვალებს, მკითხავს: „სეირნობის შემდეგ ხომ უკეთა ხარ, ალექსი?“ იმ ზომამდის დანაშაულად ვგრძნობდი თავს მის წინაშე, ისე მქენჯნიდა სვინიდისი, რომ მრცხვენოდა, თითქმის მეშინოდა კიდეც მასთან შეყრისა, თვალებში შეხედვისა.

რვა საათი იქნებოდა, როდესაც ჩემის სახლის კიბეზე ისეთის გრძნობით ავდიოდი, თითქო მძიმე რამ დანაშაული ჩამედინოს და ჯალათს სიკვდილით დასასჯელად მივყავდე; გული საშინელის ძალით მიცემდა, მუხლთ მეკვეთებოდა... მოსამსახურემ რომ ზარის დარეკაზე კარი გამიღო, ჩემს სმენას ერთბაშად მთრთოლვარე ტალღებად როიალის ხმები მოხვდა. მაშინვე მივხდი, რასაც უკრავდნენ: ეს იყო უკვდავის შოპენის ერთ-ერთი საუცხოვო ნოკტიურნი, რომელიც ძალიან მომწონდა და რომელიც ასე შეესაბამებოდა ჩემს მაშინდელს სულის მდგომარეობას. მარომ იცოდა ესა და ხშირად უკრავდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა შემამჩნევდა, რომ ცუდს გუნებაზე ვიყავ, ან და წასული ვიყავ სადმე და მელოდებოდა. ეს ხმა მან დაუკრა ჩვენის გაცნობის პირველს დღეს, ჩვენის სიყვარულის განთიადზედ და ისეთის ხელოვნებითაც დაუკრა, რომ გაოცებულ-მიხიბლული შევსცქეროდი და მადლობის გამოთქმა ვერ მომეხერხებინა. „მაშ ის ჩემზედ ფიქრობს... უკრავს ჩემს საყვარელს ხმას... მელოდება“... სიხარულით გავიფიქრე, როცა პალტოს ვიხდიდი. გულის შეზნედით წყნარად გავაღე კარები და ფეხ-აკრეფით შევიპარე სასტუმრო ოთახში. იქ მარტოდ-მარტო როიალს უჯდა მარო და თავის მოქნილის, თითქო უძვლო თითებით სულს უდგამდა უსიცოცხლო კლავიშებს, რომელიც დამკვრელის ნებით გამოსცემდა არა ამ ქვეყნიურს ხმებს. უკრავდა როგორც უნიჭიერესი მემუსიკე-ვირტუოზი, და ჩვენის პირველის გაცნობის დღიდან ამის მეტად ჯერ არ გამეგონა ასეთის გრძნობით და ხელოვნებით სავსე დაკვრა. აღელვებული, განცვიფრებული და აღტაცებული ვიდექ კარებთან უძრავად, თითქო მილურსმულიაო... რაღაც წყნარი, გულის დამაღონებელი სევდა და სინანულის გრძნობა ყოფილს ბედნიერების გამო იხატებოდა მისს ღვთაებრივს დაკვრაში, რომელმაც ათასი სხვა-და-სხვა გრძნობა და ფიქრი ამიშალა და სულის სიღრმემდე ჩამწვდა. დიაღ, ეს იყო რაღაც არა-ჩვეულებრივი, ზე-შთაგონებითი, ძლიერი დაკვრა... მარო-კი ცოტაოდნად მაღლა აწეულის, მშვენივრად მოყვანილის თავით და ფერნაკრთომის მქმუნვარება მოსილ სახით სანთლის გაცრიაგებულ შუქზე რაღაც არა ქვეყნიურ ქმნილებად მომეჩვენა... ძნელია იმ მრავალ გრძნობათა გარდმოცემა, რომელიც იმ წამს ირეოდა ჩემში და რომელთა შორის გამეფებულიყო ერთი,—ჩემი მაროს წინაშე დანაშაულის ჩადენის და მონანების გრძნობა და სურვილი ამ შეცოდების გამოსყიდვისა რაიმე დიდის მსხვერპლის გაწირვით...

წყნარად მივუახლოვდი მაროს და გვერდით დავუდექ. გულს ისეთი ბაგა ბუგი გაჰქონდა, რომ ვიფიქრე, საცაა გაიგონებს და შემომხედავს-მეთქი. მართლაც ცოტათი გვერდზედ მოიბრუნა თავი, ისე-კი რომ დაკვრა არ შეუჩერებია და შემომხედა თავისის კეთილის, ნაღვლიანად მღიმარის თვალებით, რომელიც იმ წამს ჩვეულებრივზედ უფრო მოელვარე მომეჩვენა... „ოჰ, რა კეთილია!“ ვფიქრობდი და მხოლოდ დაკვრის გათავებას ვუცდიდი, რომ დამეჩოქნა იმის წინაშე და მხურვალედ დამეკოცნა მისი მუხლები... ნოკტიურნის უკანასკნელი ნაზი ხმები თრთოლვით გაიბნა ჰაერში და მეც აღელვებული ცრემლების ყლაპვით და გულის შეზნედით მივედი მაროსთან, დავუჭირე ათრთოლებული ხელი, რომელიც ის-ის იყო კლავიშებს მოაშორა და ვედრების ხმით ვუთხარი:

— მიწყრები, მარო?...—მაპატივე...

მან გაიღიმა თავისის ჩვეულის კეთილის ღიმილით და მომიგო:

— რა უნდა გაპატიო? განა ცუდი რამ ჩაიდინე?

პასუხის მაგიერ, ტუჩებთან მივიტანე იმისი პაწაწინა ლამაზი ხელი, მხურვალედ დავკოცნე ზედ და გულში ვიფიქრე: „რა საძაგელი რამა ვარ ამ ანგელოზთან შედარებით! ღირსი ვარ, ამ პაწაწა ხელმა გამლახოს“...

არ ვიცი, მიმიხვდა თუ არა მარო დაფარულ აზრსა, მხოლოდ როგორღაც ეშმაკურად შემომცინა და მკითხა:

— ბავშვებს არ ჰნახავ?

— სძინავთ?

— უნდა ეძინოთ,—კარგა ხანია, რაც დაწვნენ.

ხელი-ხელ ჩაკიდებულნი წყნარად შევედით ბავშვების ოთახში, რომლის ერთს კუთხეს ერთი-მეორის გვერდით იდგა პატარა საწოლნი; მივუახლოვდით და ღამის ლამპრის მკრთალ სინათლეზე დავინახე, რომ უფროსს ვაჟს ცალი ხელი თავ-ქვეშ ამოედვა, ხოლო მეორე დამუჭული ლოყაზე მიებჯინა. უმცროსს ქალს-კი საბანი გადაჰხდოდა და ხელფეხი აქეთ-იქით გაეშალა,—ეტყობოდა, რომ დასცხომოდა. რა უმანკო, მშვიდი სახე ჰქონდათ, რა ტკბილად და აღუშფოთებლად ეძინათ! დიდხანს ვერ მოვაშორე თვალები ამ საუცხოვო, მშობლიურის გულის დამატკბობელს სურათს და გაოცებით ვეკითხებოდი ჩემს თავს, როგორ მოჰხდა, რომ ამდენის ხნის განმავლობაში სრულიად არ მომგონებიან ეს ანგელოზებრ უმანკო და საყვარელი პატარა არსებანი-მეთქი?!

უეცრად არჩილმა ტირილით წამოიძახა: „დედა, წამართვა!“ შემდეგ წამოჯდა საწოლზე და ისე იყო კარგა ხანს თვალებ დახუჭული, სანამ დედამ არ დაუყვავა და არ დაამშვიდა; შემდეგ ბავშვი მოწყვეტით დაეშვა ბალიშზედ და იმ წამსვე ტკბილად ჩაეძინა.

— საშიშარი რამ დაესიზმრა უთუოდ,—სთქვა მარომ ჩურჩულით და ბალიში გაუსწორა ბავშვს;—შემჩნეული მაქვს,—განაგრძო მან,—რომ იმ დღეს, რა დღესაც ბავშვებისთვის პირჯვრის გადაწერა დამავიწყდება, მოუსვენრად სძინავთ ხოლმე. მან სასოებით პირჯვარი გადასწერა ორსავე ბავშვს და შემდეგ ისეთის თვალებით შემომხედა, რომლებიც აშკარად ამბობდნენ: „შენ რაღას უცდიო?“ მე გამეცინა, ხოლო შინაგანმა ხმამ ძლიერად მომძახა: „იცინი?! ნუ თუ ახლაც ვერ ჰხედავ, რომ ბედნიერება მხოლოდ იქა სუფევს, სადაც რწმენა და სიყვარულია?“ ჩემმა მარჯვენამ უნებურად ჰაერში ორჯელ თუ სამჯერ ჯვარი გამოსახა, და მე ვიგრძენ იმ წამს, რომ აქ, ამ პატარების სასთუმალთან იდგა ჩვენის ოჯახის მფარველი ანგელოზი და იცავდა თავისის გაშლილის თოვლივით სპეტაკის ფრთებით ჩვენს სახლს; ვიგრძენ ისიც, რომ, მხოლოდ აქ, ამათ შორის იყო საიმედო ნავთ-საყუდელი წყნარის, აღუშფოთებელის ბედნიერებისა, და რომ ახლად გამოვლილი განსაცდელი ჰგავდა უკანასკნელს ზვირთს, რომელმაც შეაშფოთა ამ ნავთ-სადგურში დაგუბებულ ბედნიერების მორევის ზედა-პირი...

ოთახში სრული მყუდროება სუფევდა; ისმოდა მხოლოდ კედლის საათის შეუწყვეტელი კაკუნი და მძინარე ბავშვების წყნარი სუნთქვა, ხოლო გაღებულ კარებში სასადილო ოთახიდგან შემოდიოდა წიგნის ფურცლის შრიალი და ამალია კარლოვნას ბებრული ხველა...

დიმ. ერისთავი.

---

*) იხ. „ივერია“ № 59.

ნიც ჯან-საღმა ადამიანმა შეშლილი, გრძნობა არეული ადამიანის შემოქმედებად უნდა აღიაროს. მაგალითად დეკადენტი პოეტი მძლავრი, მხატვრულის ენით აგიწერთ შარა გზაზე მდებარე პირუტყვის ლეშს, ლეშის შიგნეულობიდან გამონადენ სიმყრალეს, ზედ მისეულ ყორანთა გუნდს. დეკადენტი მხატვარი დაგიხატავთ მშვენიერ, მზეთ-უნახავ ქალწულს სულთ-მობრძავს. ოთახში სიკვდილი შემოდის, საზარელი ძვლების ჩონჩხი, მხრის ძვალზე ცელ-გადაგდებული. სიკვდილი სულთ-მობრძავი ქალწულის ლოგინის წინ გაჩერდება. მან უნდა აასრულოს თავისი ხელობა, მოცელოს ნორჩი სიცოცხლე და თავის გზას გაუდგეს. მკითხველიც სიკვდილისაგან მისი მოვალეობის ასრულებას მოელის ...მაგრამ, მოულოდნელად... სიკვდილი, ქალწულის შვენებით განცვიფრებული, მას წინ მუხლის ძვლებზე დაეშვება და სიყვარულს გამოუცხადებს. აღარ მოგკლავ, ცოცხალი თუ წამომყვებიო. მაყურებელმა არ იცის, იცინოს, თუ ივალალოს. დეკადენტმა დიდებული და სასაცილო უეცრად ერთმანეთში აურია. ცხოვრების ვითარებაზე დაფიქრებულ ფილოსოფოსს ჩუმად უკანიდან შემოეპარა და ჟღარუნა სამასხრო ჩაჩი ჩამოაფხლარტა თავზე. დეკადენტი—მწერალი აგიწერთ ღარიბ ყმაწვილ კაცს, პარიზში, უზარმაზარი სახლის მე-7 სართულის პაწია ოთახში, მშიერს, გამხდარს, ლოგინ ჩაცვივნულს. ქუჩაში ამ დროს ყვირილი მოისმის: „აბა ფანჯრის შუშები, აბა ფანჯრის შუშები გასაყიდიო!“ ამ ხმას რომ გაიგონებს, ყმაწვილი კაცი გამოჰყოფს თავს ფანჯარაში და შუშის გამყიდველს უძახის. თვითონ-კი ისევ ჯდება და უცნაური გრძნობა ეუფლება. მის გულში იბადება და იზრდება შუშის გამყიდველის მიმართ სიძულვილი. იგი გრძნობს, როგორ ადის გამყიდველი ვეება სახლის კიბეზე და რაც უფრო მაღლა ადის იგი, მით უფრო იზრდება ყმაწვილი კაცის გულში მისდამი სიძულვილი. აი შემოვიდა შუშის გამყიდველი ღარიბი ყმაწვილის ოთახში. ყმაწვილი მივარდება მასთან და შეჰყვირებს: „გაქვს თუ არა ვარდის ფერი შუშები, რომ მაყურებელს ვარდის ფრად აჩვენონ ცხოვრება და ქვეყნიერებაო?“ „ამ ფერი არ გახლავს, ბატონოო,“ —უპასუხებს გამყიდველი. გაბრაზებული ყმაწვილი კაცი წაავლებს მას საყელოში ხელს, გაათრევს ოთახიდან, ამოჰკრავს გაშმაგებული პანღურს და კიბეზე ჩამოაგდებს. აი დეკადენტური შემოქმედების შინაარსი.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ნიჩშემ ამ საოცარ მიმართულების ფილოსოფია განავითარა, უმაღლეს საოცრებამდის აიყვანა. მან შექმნა ზე-კაცის იდეალი. ზე-კაცი—ისეთი სულდგმულია, რომლისთვის არ არსებობს არავითარი ზნეობრივი კანონი. ქრისტიანობის მოძღვრება—ბორკილია ზე-კაცის ფეხთათვის. მან უნდა დაამსხვრიოს ეს ბორკილი, რადგან ქრისტეს მცნებაში გამოსახული ადამიანთა შორის ზნეობრივი მოვალეობა, ამ მოვალეობის ასრულება,—სულიერად დასჩაგრავს ზე კაცს, დაასუსტებს, უბრალო—უფერულობის დაღს დაასვამს. ზე-კაცისათვის არ არსებობს არც სიკეთე არც სიავე. ყველა ეს ტყუილია. წმინდა ზნეობრივი იდეალი უბრალო კაცთათვისაა გაჩენილი. მათთვის სარწმუნოების დამფუძნებელთაგან მოგონილი. უბრალო კაცთ სჭირიათ ზნეობის კანონმდებელნი, ზე-კაცი კი თვითონ არის კანონმდებელი. მან არ უნდა დააჩაგვრინოს თავი სხვების გავლენას, სხვების ავტორიტეტს, ზე-კაცმა უნდა შექმნას თავისი მძლავრი, დამოუკიდებელი პიროვნება, მან უნდა განავითაროს ბუნებრივ-სტიქიური ძალა, რომელიც მის სულში ბუდობს, უნდა მისდიოს თავის მძლავრ-ეგოისტურ მიდრეკილებათ და მხოლოდ ამნაირად შეუძლია ამაღლდეს, ცხოვრებას ასცილდეს; მომავალი ამ ზე-კაცთა ეკუთვნის.

მკითხველი ჩემსავით განცვიფრებულია. მე და თქვენ უნდა გავგიჟდეთ, მკვითხველო, თუ გვსურს გიჟური ფილოსოფია შევიგნოთ. საღი გონების ადამიანისათვის-კი იგი მიუწდომელია.

მხატვარ ბუნინს, ცხადია, სავსებით შეუგნია ნიჩშეს ფილოსოფია. მან უეცრად ჩვენ თვალ წინ გიჟური ნახტომი ქნა. გამოჩენილ სათაყვანებელ მწერალთ მიახტა, ნიფხავ-შარვალი ჩამოაგლიჯა და ტიტველად წარმოგვიდგინა თვალ წინ ბუნინისთვის არ არსებობენ განთქმული მწერლები: ისინი ჩვენი, უბრალო-უფერულ ადამიანთა სათაყვანებელი არიან, ბუნინი-კი ზე-კაცია, ზე-მხატვარი. მან აღზარდა თვის გულში მძლავრი გრძნობა, ჩვენ გრძნობათა მიმართ პატივისცემა დასთრგუნა, ჩვენ ზნე-ჩვეულებათა ბორკილი დაამსხვრია და ამაღლდა ჩვენზე. მაგრამ ვაი ამ ამაღლებას!.. იგი ადამიანის სული დაცემას მოასწავებს, ადამიანის პიროვნების შელახვას, გათახსირებას. სამწუხარო მოვლენაა ეს მოვლენა, ჩვენ ცხოვრებაში გზა-კვალ დაბნეულ მოძღვრებათა გამეფების შედეგი და ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა ვებრძოლოთ ამ მოძღვრების მავნე სულს, უნდა ვამხილოთ ქვეყანას მისი შინაარსი, დავცინოთ და გავამჟღავნოთ. რადგან, რაც უნდა მიხვეულ-მოხვეულ სოროში შეძვრეს საზიზღრობა, მწვავი დაცინვა თუ შეუბოლე, ამოძვრება და თავის საზიზღარ სახეს ქვეყანას დაანახვებს.

ი. ნ—შიძე.

ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანება დ. ყვირილაში და შორაპნის საბლაღოჩინოების სამღვდელოთა კრება.

6-ს ამ მარტს, ხუთშაბათს, დილის 6 საათზედ დაბა ყვირილაში მატარებლით მობძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. რკინის გზის სადგურზედ ყველასაგან დიდად პატივცემულს მწყემსთ-მთავარს მიეგება შორაპნის მაზრის სამღვდელოება და ყვირილის საზოგადოება. სადგურიდგან მისი მეუფება წაბძანდა ყვირილის ცნობილ ვაჭრის გედევან ზურაბის ძის ჩუბინიძის სახლებში, რომელიც წინდაწინ იყო მომზადებული მღვდელ-მთავრისა და სამღვდელოების მისაღებად. აქ მისმა მეუფებამ მიიღო იმ დღისთვის განგებ დაბარებული სამღვდელოება დილის 9 საათზედ და მიჰმართა გრძნობიერის სიტყვით, რომელშიაც ცხადად დაასურათა სამღვდელოების მოწოდება, მათის სამსახურის წმინდა აზრი და დიდი მოვალეობა. მღვდელთ-მთავარმა სხვათა შორის ბრძანა:

„ჩვენი ძველები გაცილებით უფრო მტკიცედ ასრულებდნენ ქრისტიანობრივ მოვალეობას და უფრო მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზედ, ვინემც ახლანდელებიო; დღეს-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ცრუ ნასწავლები ისე უყურებენ ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც დრო მოჭმულს და დრო გადასულს საგანს. საჭიროა ისევე განვაახლოთ გულ-მხურვალე სიყვარული ქრისტეს სარწმუნოებისა; ამიტომ, წირვა-ლოცვისა და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების გარდა, თითოეული თქვენგანი მოვალეა იზრუნოს ხალხის სულიერ მდგომარეობისა, ხალხის კეთილ წარმატებისა და დაწინაურებისათვის სარწმუნოებისა და ზნეობის მხრივ, რისთვისაც მე მსურს, მამანო, სოფლის ეკკლესიებშიაც შემოვიღოთ წესად და სოფლის სამღვდელოებაც ვალდებულად გავხადოთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა წირვა-ლოცვაზედ წარმოსთქვას დროს შესაფერისი ქადაგება, სწავლა-მოძღვრება და გაჰმართოს საღმთო—ზნეობრივი საუბრები, ამისათვის საჭირო იქნება შემუშავდეს განსაკუთრებული პროგრამა და შესდგეს სახელმძღვანელოდ დ ხალხში მუქთად დასარიგებლად ზნეობრივ-სარწმუნოების სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნაკები. ამასთანავე სასურველია თითოეულს საბლაღოჩინოს ოლქში დაარსდეს ისეთი წიგნთ-საცავი, რომლითაც სარგებლობა შეეძლოს მთელ საბლაღოჩინოს სამღვდელოებას, რისთვისაც საჭირო იქნება გამოვიწეროთ სასულიერო წიგნები და ჟურნალები. ამიტომ დაგიბარეთ დღეისთვის და გთხოვთ, თითოეულმა თქვენგანმა გამოსთქვას თავისი საკუთარი აზრი და მეხედულობა ამ საქმის შესახებ“.

სამღვდელოებამ დიდის ყურადღებით და სიხარულით მოისმინა და მიიღო მწყემს-მთავრის სავულისხმო სიტყვა და წინადადება. შემდეგ, მისის მეუფების თავმჯდომარეობით, დაიწყო კრება, რომელზედაც თითოეულმა თავის, აზრი წარმოსთქვა და განსაკუთრებით-კი დეკანოზმა მამა დავით ღამბაშიძემ დაწვრილებით განუმარტა სამღვდელოებას, თუ რა წესით და პროგრამით უნდა იქმნას შედგენილი საუბრებისა და ქადაგების წიგნაკები და სახელმძღვანელონი და რა ნაირად უნდა დაწესდეს წიგნთ-საცავნი. ბოლოს მამა დეკანოზმა განუცხადა კრებას, რომ „თუმცა სასურველია თითოეულ საბლაღოჩინოს ექნეს საკუთარი წიგნთ-საცავი, მაგრამ, ვგონებ, ეს ჯერ-ჯერობით საძნელო იყოს შეუძლებლობისა გამო და ამიტომ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება მთელმა შორაპნის მაზრის სამღვდელოებამ (შორაპნის მაზრაში სულ 6 საბლაღოჩინოა) ერთი წიგნთ საცავი დააარსოს. ამ სამაზრო წიგნთ-საცავს ჩემის მხრივ ათასის მანეთის წიგნებს შევსწირავ იმ პირობით-კი, რომ წიგნთ-საცავი დაარსდეს ყვირილის ეკკლესიის გალავანშიო.

ბ-ნმა გ. ჩუბინიძემ მოახსენა ყოვლად უსამღვდელოესს: „ყვირილის ეკკლესიის გალავანში მომავალ წიგნთ-საცავს მე ავუშენებ ჩემის საკუთარის შრომითა და ხარჯით შესაფერ ქვითკირის შენობასაო“. ეპისკოპოსმა ლეონიდმა და სამღვდელოთა კრებამ მადლობა გამოუცხადა ამ კეთილ საქმისთვის, როგორც მამა დეკანოზს დავით ღამბაშიძეს, აგრეთვე ბ-ნ გ. ჩუბინიძეს.

ბევრის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: „შესდგეს კომისია 12 სამღვდელოთაგან, 6 წევრნი იყვნენ და ექვსნი მათნი კანდიდატიო. ამ კომისიას დაევალოს მიღება და გასინჯვა ქადაგებისა და საუბრებისა, მათი შედგენა და წყაროების გამოძებნა ღსაბეჭდავად და სხ.“

რაიცა შეეხება წიგნთ-საცავის დაარსებას, ამაზედ იმ საბლაღოჩინოების სამღვდელოებამ, რომელიც დ. ყვირილაზედ დაშორებულია, განაცხადა, რომ სიშორისა გამო ვერ შევიძლებთ ყვირილიდან თავთავის დროზედ ვისარგებლოთ წიგნთ-საცავით, თუ ჩვენს-ჩვენს საბლაღოჩინოში არ გვექნება წიგნთ-საცავიო. ძალიან სასურველია, რომ თითოეულ საბლაღოჩინოს საკუთარი წიგნთ-საცავი ექნეს, მაგრამ ბევრს ხარჯს მოითხოვს და ამისთვის კრებამ შემდეგი დაადგინა: „ეს საგანი ხელმეორედ გაირჩეს საბლაღოჩინოების მომავალ კრებაზედ და, თუ შესაძლებელად დაინახონ, თითოეულმა საბლაღოჩინომ საკუთარი წიგნთ-საცავი დაიარსოს ან არა და ერთი „ცენტრალური“ წიგნთ-საცავი დაარსდეს მთელს შორაპნის მაზრაში, სახელდობრ დ. ყვირილაში, ხოლო იმ საბლაღოჩინოებში, რომელიც დაშორებულია, დაარსდეს წიგნთ-საცავის განყოფილებანი; წიგნთ-საცავისა, წიგნებისა და ჟურნალების გამოსაწერად და სხვა ხარჯების დასაფარავად, რომელიც-კი გამოწვეული იქნება წიგნთ-საცავით, თითო ეკკლესიის კრებულმა წლიურად უნდა გადაიხადოს სამი მანეთი ფული.

სამღვდელოებამ ხელი მოაწერა ამ დადგენილებას და კრებაც დასრულდა ნაშუადღევის 4 საათზედ.

ყოვლად უსამღვდელოეს ლეონიდს სადილი გაუმართა ზემოხსენებულმა გედევან ჩუბინიძემ. მის მეუფებასთან ერთად მიწვეულნი იყვნენ მ.მ. დეკანოზნი, კეთილმოწესენი და აქაური მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე.

5 საათზედ მისი მეუფება მიაცილეს რკინის გზის სადგურზედ, სადაც სამღვდელოებას და დამსწრე საზოგადოებას უბოძა ლოცვა-კურთხევა და წაბძანდა ქუთაისს.

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

მადლს მატლად ნუ ვაქცევთ.

(კახეთის რკინის გზის შესახებ).

ასი ათას მცხოვრებელთა სიღნაღის მაზრა-ქიზიყში და თვით ქალაქ სიღნაღში minimum ათასი სავაჭრო და სახელოსნო დუქანი იქნება. თვეში თითო დუქანს ერთი-ერთმანეთზედ დასჭირდება ასი ფუთი სხვა-და-სხვა საქონლის მოტანა ტფილისიდგან: მარილისა, ნავთისა, შაქრისა, რკინეულობისა, ფარჩეულობისა, სამეურნეო-სამრეწველო იარაღებისა, ათასგვარ ავეჯეულობა-ნივთებისა, ფეჩვის მასალისა, ვაზის წამლეულობისა და სხვა ასი-ათასნაირ წვრილმანისა, რაიცა თვეში შეადგენს 100,000 ფუთს და წელიწადში 1,200,000 ფუთს.

რადგანაც ქართველები სტატისტიკურის ცნობებით ღარიბ-ღატაკნი ვართ, ამიტომ უსტატისტიკოდ, დაახლოვებით უნდა მოგახსენოთ, ვარაუდით, რომ მთელ სიღნაღის უზარმაზარ და ბუნებით უმდიდრესს მაზრიდგან იგზავნება წლის-წლობამდის ტფილისში უკანასკნელი ორი მილიონი ფუთი ღვინო, არაყი, თამბაქო, მატყლი, ხე-ტყე, სურსათი, სხვადასხვა ხელეულობა, ბოსტნეულობა და სხვა ასი-ათასნაირი ნაწარმოები მეურნეობა-მრეწველობისა.

არც ეს უნდა დავივიწყოთ, რომ, თუ მეტი არა, იმდენივე მოსატან-გასაგზავნი მაინც ექმნება ბუნებითვე მდიდარ გარეთ-კახეთს (ტფილისის მაზრას) და მთელ ზაქათალის ოლქს; მაშასადამე, წლის-წლობამდე ექვსი მილიონი ფუთი წასაღებ-წამოსაღები საქონელი მოძრაობს გარეთ-კახეთზე სიღნაღის მაზრისა, გარეთ-კახეთისა და ზაქათალის ოლქისა. დიდძალ მგზავრთა მიმოსვლას ხომ თვლა არა აქვს დასახელებულ გზაზედ.

საით ივლის ხსენებული ექვსი მილიონი ფუთი საქონელი, კახეთის რკინის გზა რომ თიანეთზედ წამოვიდეს?—ისევ გარეთ-კახეთისაკენ და აი რათა: ტფილისიდამ თიანეთზე წამოსულ რკინის გზა ას ოთხმოც ვერსამდის იქნება სიღნაღამდის, და სიღნაღიდამ ტფილისამდე-კი ასი ვერსია; აუარებელ ფურგუნებისა და ურმების შეცილება იქამდის მიდის ხოლმე, რომ ტფილისიდამ სიღნაღამდე ფუთი რვა კაპეიკი ხდება ქირა. თუ მართლა რკინის გზა თიანეთზედ წამოვიდა, თქმა აღარ უნდა, მაშინ უფრო გაიაფებენ ქირას მეფურგუნე-მეურმეები და თიანეთისკენ მოტარებული რკინის გზა კონკურენციას ვერ გაუწევს.

მთელის სიღნაღის მაზრის დიდ ძალი ადებ-მიმცემი ხალხი: მეურნე, მრეწველი თუ ვაჭარი ეხლავ ამას ამბობს უკმაყოფილოდ: „თიანეთზე რკინის გზის წამოღება მადლის მატლად ქცევა იქნება, ჩვენ იმდენს არას გვარგებს და ისევ ფურგუნ-ურმებ-დილიჟანების სინაბარას დავრჩებით ეს ამოდენა ქვეყანაო“. „მინამ ჩვენ თიანეთისაკენ წამოღებულ რკინის გზის კანტორას საქონელს ჩავაბარ-გამოვაბარებთ და ბინამდინ მივიტანთ, იმაზედ უფრო იაფად და ადრე ფურგუნები მიგვიტანენ და მოგვიტანენ კარზე ჩვენს საქონელსაო“,—ბანს აძლევენ მეორენი და არცა სტყუიან.

ყველა ზემო-აღნუსხულ ტვირთს უნდა მივუმატოთ რამდენიმე მილიონი ფუთი ხე-ტყე, შეშა და ნახშირი, რომელთაც გულუხვად მიაწვდიდა რკინის გზას მდიდარი ჭალა-ტყეები სიღნაღის მაზრისა, გარეთ-კახეთისა და ზაქათალის ოლქისა. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ თუ ნათმაშიაც ნავთის წყაროებმა ამოჰხეთქა და სიღნაღისავე ბუნებით უმდიდრეს მაზრაში სხვა-და-სხვა შირნაჩენმა მადნეულობამაც იმედი არ გაგვიცრუვა, მაშინ ხომ აუარებელი ტვირთი იმოძრავებს წლის-წლობამდის გარეთ-კახეთზედ. ნურც ამას დავივიწყებთ, რომ გარეთ-კახეთისკენ წამოღებული რკინის გზა ერთი-სამად ააღორძინებდა, როგორც მეურნეობა-მრეწველობას, ისე ყველაფრის აღებ-მიცემობას ბუნებით მდიდარ ორის მაზრისას და ერთის ოლქისას და, მაშასადამე, ერთი სამად იმატებდა გარეთ-კახეთზედ საზიდი ტვირთიც.

ნურც ისე გულ-გრილად მოვეპყრობით ამ საქვეყნო-საკეთილდღეო საქმეს, რომ საშინლად არ გაგვიკვირდეს, თუ რად ავიწყდებათ ყველა ზემოჩამოთვლილი აშკარა საქმენი ორის მაზრისა და ერთის ოლქისა თიანეთზედ რკინის გზის წამოღების მოტრფიალეთ?!

რადგანაც სიღნაღთან შედარებით თიანეთს ერთი-ორად და სამად მეტი ქირა მისდის ტფილისიდგან გომბორის მთაზედ ტვირთის ზიდვაში და ზამთარში ხომ ხშირად შეუძლებელიც ხდება იმ გზით სიარული, ამიტომაც თვით თელავის მაზრისათვისაც დიდად სახეირო იქმნებოდა გარეთ-კახეთზედ წამოღებული რკინის გზა, და მაინამ თიანეთ-დუშეთის ცოტას მრავალნი რიდასათვის ვანაცვალოთ?!

ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო, ნათქვამია და ეს იმიტომ უთქვამთ, რომ დიდი, წინდაუხედავი უსამართლობა იქნება, ვინც ჯერ ცოლთ და შვილთ იტევის, და მერე თავთ და თავსა. არა, უმრავლესობა ცოტას არ უნდა ვანაცვალოთ, საითაც მეტია, სასწორი სიმართლისაც იქით უნდა კადიხაროს. ამას თხოულობს თვით ღვთაებრივი მართლ-მსაჯულება ცოდო-მადლისა, თუ არა-და, არ-საკადრისი ხრინკმეისტრობა გამოვა საკუთარ სარფისათვის...

თიანეთს დიდი ჭალა-ტყეები აქვს და რკინის გზას საზიდი საჭანე არ მოაკლდებაო, ჰბრძანებენ თიანეთზედ რკინის გზის გაკეთების გატაცებით მოტრფიალენი. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, განა სიღნაღის მაზრას, გარეთ-კახეთს და ზაქათალის ოლქსა თიანეთზედ ნაკლები ჭალა-ტყეები აქვსთ და ამის აღმოჩენასაც თავ-განწირული კოლუმბი ეჭირვებას?! ხსენებული ჭალა-ტყეები წლის-წლობამდის იმოდენა უძველ ხე-ტყეს, შეშას და ნახშირს მიაყრიან თავში რკინის გზას, რომ სულ აღარ მინდა იძახოს.

მეტის ლაპარაკით რომ თავი აღარ შეგაწყინოთ და სიტყვა მოკლედ მოვჭრა, თუ სადმე სამართალია ქვეყანაზედ, ჯერ უწინარეს გარეთ-კახეთზედ უნდა წამოვიდეს რკინის გზა სიღნაღისაკენ თელავამდის ხალხის უმრავლესობის სიკეთისათვის, მით უფრო რომ, სპეციალისტების გამოანგარიშებით, გზა გარეთ კახეთზედ ექვსი მილიონი ჯდება და თიანეთზედ-კი თორმეტი მილიონი. ბოლოს იმ „დანარჩენ“ ექვსის მილიონის დახმარებით თიანეთზედაც შეუძლიანთ გაიყვანონ რკინის გზის ტოტი და ასე ამ გვარად ჯერ კეთილ-სამართლიანობისაკენ დაურღვეველი თავთ და თავთა ასრულდებოდა, და მერე ცოლთ და შვილთ.

უკუღმა მოქცევა-კი მართლაც რომ მადლის მატლად ქცევა იქნება, რისთვისაც მთელის ორის მაზრის და ერთის ოლქის ზღვისოდენა მომავალ-მომავალი თაობის წყევლა-კრულვას და დანძლვა განებას ვერ ასცდებიან სიმართლის სასწორის გამბრუდებელნი.

ქიზიყელი.

რუსეთი

ფინლიანდიელი გაზეთი გუფვუდსტადბლადეტის გამოცემა ხუთი დღით შეჩერებულია ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის სამმართველოს განკარგულებით, რადგანაც იმ გაზეთის მეექვსე გვერდის ბოლოში იყო დაბეჭდილი 26 თებერვლის უმაღლესი მანიფესტი.

— პეტერბურგის სასწავლებელთა კომისიამ შეიტანა წინადადება საბჭოში, იშუამდგომლონ იმისთანა კანონის გამოცემისთვის, რომლის ძალით აღკრძალული ექნებათ ანტრეპრინიორებს მცირე წლოვან ყმაწვილების სცენაზე გამოშვება.

— პეტერბურგის სამოსწავლო ოლქს აღუძრავს კითხვა იმის შესახებ, რომ სავაჟო გიმნაზიის უფროსი კლასების მოწაფეთათვის გამართონ კლასს გარეშე მეცადინეობა იმ მიზნით, რომ მათ სპეციალურად შეისწავლონ უმთავრესი საგნები: რუსული ენა, ისტორია და მათემატიკა. მასწავლებლებათ იქნებიან პროფესორები და გიმნაზიის მასწავლებლები.

— სარატოვის გუბერნიაში სოფელ პოილკოვში, პეტროვსკის მაზრაში, სარატოვის გაზეთის სიტყვით სიტყვით, შემდეგი შემთხვევა მომხდარა.

პოლკოვის სოფლის მამასახლისს დაუპატიმრებია სოფ. კამაროვკიდგან ორი გლეხი გადასახადის შეუტანლობისათვის. ამასთანავე უბრძანებია დარაჯისათვის ცეცხლი აენთო ცივ საპატიმროში. ცეცხლის ანთების შემდეგ ტყვეებს დაუწყვიათ რახუნი და უთხოვიათ გამოეშვათ ისინი, რადგან თავი ძალიან სტკიოდათ. დარაჯმა მოახსენა უფროსს, უფროსს-კი უთქვამს; „არა უშავთ-რა, მალე მორჩებიანო“. კიდევ ბევრი უხვეწნიათ ტყვეებს, მაგრამ ამაოდ; მეორე დღეს, როცა მამასახლისმა ბრძანა, მოეყვანათ ტუსაღები სოფლის სამმართველოში, ერთი მომკვდარიყო კიდევაც და მეორე-კი ძლივს-ღა სუნთქავდა.

უცხოეთი

ინგლისი. კიდევ გაიმარჯვა არჩევნებზე ოპოზიციამ.

გასულ ოთხშაბათს რაის (ესსეკის) ოლქში საზოგადოებათა პალატის წევრთა არჩევნები მოხდა. აირჩიეს 4,910 ხმით ლიბერალი ჰეტჩინსონი წინააღმდეგ კონსერვატორთა კანდიდატის ბოილისა, რომელმაც მხოლოდ 4,376 კენჭი მიიღო. წინად რაის ოლქიდან წარმომადგენლად არჩეული იყო კონსერვატორი პოლკოვნიკი ბრუკფილდი, რომელიც 1895 წელს ერთხმად გაიყვანეს (რადგან მაშინ ლიბერალებმა ვერც-კი გაჰბედეს თავის კანდიდატის დასახელება). ეს ახალი დამარცხება მთავრობის მომხრე დასისა მით უფრო სარძნობელია, რომ ზედ მოჰყვა მუშათა დასის გამარჯვებას ვულიჩში.

ავსტრია-უნგრეთი. მთავრობის სამხედრო კანონ-პროექტის ოპოზიცია, რომელიც დამოუკიდებელთა დასისაგან შესდგება, უკიდურეს გაჭირვებაში აყენებს სელლის სამინისტროს. კოშუტის მომხრეთ ზოგი რამ დასთმეს ამ საკითხში, მაგრამ საერთო-საიმპერიო სამხედრო გამგეობა მაინც ვერ განაგრძობს თავის საქმეს. ამიტომ უნგრეთის მთავრობას განზრახვა აქვს დამოუკიდებელთა დასი სხვაგვარად დააკმაყოფილოს. სელლი მზადაა მეტი თავისუფლება მიანიჭოს კოშუტის მომხრეთ არჩევნების დროს, ოღონდ-კი ობსტრუქცია უარჰყონ და სამხედრო კანონ-პროექტის ხელი არ შეუშალონ. ამის გამო რამდენჯერმე მოხდება მოლაპარაკება დამოუკიდებელთა დასსა და მთავრობას შორის.

— გაზ. „N. F. Pr.“-ს ბელგრადიდგან ატყობინებენ,—რადიკალურ გაზ. „ოდიეკ“-ში დაბეჭდილია ჟენევიდგან რადიკალ დეპუტატის ჟივკოვიჩის სახელზედ საბბა ივანოვიჩის,—სამსახურიდგან დათხოვნილ სერბიის საიდუმლო პოლიციის აგენტის მიერ გამოგზავნილი წერილი. ამ წერილში ნათქვამია,—პოლიციის პრეფექტს განზრახვა აქვს როგორმე ჩაითრიოს დეპუტატი ჟივკოვიჩი და ორი მისი თანამოაზრე დეპუტატი მეფის წინააღმდეგ შეთქმულობაში, რაიცა ცხადად სჩანს, ვითომდა, ამ ცნობასთანვე გამოგზავნილ პრეფექტის ხელით დაწერილ საბუთებიდგანაო. ივანოვიჩი წინად ჩერნოგორიის ჯარში მსახურობდა ოფიცრად, მაგრამ იქიდგან გამოაძევეს, რადგან მთავარს ემუქრებოდა; მას შემდეგ ივანოვიჩი მუდამ საიდუმლო პოლიციაში მსახურობდა, და, საფიქრებელია, რომ მისი უკანასკნელი მოხსენება სარწმუნო არაა.

— გაზ. „Temps“-ს ბელგრადიდგან ატყობინებენ,—ზომიერ რადიკალთა პაშიჩის, ვუიჩისა და ველიმიროვიჩის ჯგუფმა გადასწყვიტა მომავალ არჩევნებზე თანხმობით იმოქმედოს და შეუპოვარ ოპოზიციის წყალობით აიძულოს მთავრობა, რომ აღდგენილ იქმნას ნამდვილი საკონსტიტუციო და საპარლამენტო რეჟიმიო. დამოუკიდებელი დეპუტატები—ჟივკოვიჩის თანამოაზრენი მონაწილეობას არ ღებულობენ ამ გარდაწყვეტილებაშიო.

პორტუგალია. იმ საზოგადო მღელვარებას, რომელიც მთელს პორტუგალიას მოედო, ნამდვილი რევოლიუცია მოჰყვა კოიმბრაში. მადრიდის გაზ. „Kil.“-ის ატყობინებენ ლისსაბონიდგან,—პორტუგალიის მთავრობამ შესწყვიტა დეპეშათა გაგზავნ-გამოგზავნა არამც თუ საზღვარ-გარეთ, არამედ თავის ქალაქთა შორისაცაო. მაგრამ მაინც გამოჟღავნდა, რომ კოიმბრაში ნამდვილი აჯანყებაა. მთელი კვრაა, რაც კოიმბრას ალყა არტყია, მაგრამ არეულობა ვერ მოსპეს. 8 კაცი მოკლულია, დაჭრილთა რიცხვი მრავალია, მათ შორის ჯარის-კაციც.

კოიმბრაში მომხდარი ამბები მეტად აღელვებს ლისსაბონის საზოგადოებასა და პალატაში გაცხარებული კამათია ამის გამო. დიდად ჰკიცხავენ მთავრობასა. კოიმბრას უნივერსიტეტი დაკეტილია. ვაჭრებმა მთავრობის მოქმედების შესახებ საჩივარი წარუგზავნეს მეფესაო.

გერმანია. გერმანული ჟურნალ-გაზეთობა იუწყება,—ერთ-ერთი რაზმის ჯარის-კაცი სას-

ტიკად დაუსჯიათ და შემდეგ საბრალოს თავი მოუკლავსო. გასულ კვირას ჰანოვერის კორპუსში ამავე მიზეზის გამო ოთხმა ულანმა მოიკლა კიდევ თავიო.

სჩანს განათლებულნი უფროსნი დიდის ლმობიერებით ეპყრობიან თავიანთ ხელქვეითთ!!

ნარევი და ნაკვესი

მეფე ჰუმბერტოს უკანონო შვილი. როგორც რომიდგან ატყობინებენ ერთს რუსულს გაზეთს, გრაფინია ჩეზარინა გატტი-გერკოლიანს საჩივარი შეუტანია სასამართლოში მეფეზედ; მეფის მაგიერ მოპასუხეთ გენერალი პანცია ვაგლია'ზი—მეფის ქონების კერძო მოურავი—დასახელებულია. გრაფინია სჩივის, რომ მეფის ქონებიდგან მესაჯოს ერთი ნაწილი, რადგან შვილი მყავს მისგანაო. მე შემიძლიან მოწმებით დავამტკიცოვო, ამბობს გრაფინია,—რომ 18 ივლისიდგან 1880 წ. (მაშინ გრაფინია ჯერ თოთხმეტის წლისა არ უყოფილა), ვიდრე 1883 წლის იანვრამდე მეფის საყვარელი ვიყავი და მისგან ვაჟი შემეძინაო. ხან ფოსტით და ხან მის მახლობელთა ხელით მეფისაგან ფულებს ვიღებდი ხოლმეო. მეფე ჰუმბერტოს ვექილები აცხადებენ, თუმცა, კონსტიტუციის კანონების ძალით, არავის შეუძლიან მეფეს უჩივლოს, მაგრამ ჩვენს მეფეს არ სურს ამ თავის უფლებით ისარგებლოს და სასამართლოში გაჰგზავნის თავის ვექილებს, რომ დაამტკიცონ, გრაფინია ცილს სწამებს მეფეს და სცრუობსო.

ეკლესიაში კოცნა. ერთს ინგლისის პასტორს წირვის დროს შეუმჩნევია, რომ ორ შეყვარებულს ეკლესიაში ერთმანეთისათვის უკოცნიათ. ამათ საქციელს პასტორი ძალიან გაუბრაზებია; პასტორს ვეღარ მოუთმენია და საჯაროდ გამოუცხადებია, უკეთუ ეგენი, წირვის გათავების შემდეგ, ჩემთან არ მოვლენ და შენდობას არ მთხოვენ, მეორე კვირას კათედრიდგან მათს სახელსა და გვარს გამოვაცხადებო. ამ გამოცხადების შემდეგ მღვდელთ-მსახურება ისევ განაგრძო პასტორმა, მაგრამ წარმოიდგინეთ პასტორის განცვიფრება, რომ ორის მაგიერ თორმეტნი მივიდნენ პასტორთან წირვის შემდეგ და შენდობა სთხოვეს, ჩვენ ერთმანერთს ვკოცეთ და ნუ გაგვირისხდები, ნუ გამოაცხადებ ეკლესიაში ჩვენს გვარსა და სახელსაო.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ 31 № ში, წარსულ თებერვლის 7-ში, ვიღაც საქმეში ჩაუხედავმა კორესპონდენტმა აღნიშნა გორის მაზრის სოფელ მეტეხში მყოფ ძველთაგან ძველის ღვთის მშობლის მიძინების ეკლესიის დაუმთავრებლობა შეკეთებით და გუმბათში ფანჯრების ჩაუსხმელობა და ამ მიზეზებს; ყოველ საფუძველ გარეშე, სრულიად აკისრებს ჯერეთ ადგილობრივ მცხოვრებ თავად-აზნაურთა გულ-გრილობას და მერე მე. ვითომდა მე გადმომეცა ერთ პატივცემულ პირისაგან 100 მან., რათა ჩამესხა ამ ფულით გუმბათში მინები, მაგრამ იმისდა საუბედუროდ და სამწუხაროთ, ამ ფულს ჩემდამი მიეცა სულ სხვა დანიშნულობა, რის გამოც ხსენებულ ეკლესიაში ამ ჟამათ, გუმბათში უმინობის გამოისობით, მუდმივი ქარ-ბუქი ტრიალებსო. კორესპონდენტი აბრალეს მღვდელს, რომ თავად აზნაურებს, რომელთაც ძალა არ მოზდის, არც ამას შესახვაში, არც ეკლესიაში არა ჰშველიან მღვდელს ეკლესიის შეკეთებასა და დამთავრებაშიო.

რადგანაც ზემოხსენებული წერილი უსაფუძვლოა, ამის გამო სინამდვილის აღსადგენად, შესახებ მეტეხის ეკლესიის შეკეთების დასაწყისზედ და დამთავრებაზედ საჭიროთ ვრაცხ, რამდენიმე სიტყვა ვსთქვა,—ძველთაგან ძველი მეტეხის ეკლესია ამ ბოლო დროს იმდენად დაძველდა, რომ დღითი-დღე ინგრეოდა და ისპობოდა სამუდამოდ. შეკეთება მისი და აღდგენა თხოულობდა დიდ დაუღალავ შრომას და ფულს, რის გამოც მეტეხის მრევლი, თავისდა შეუძლებლობის გამო, ვერას ჰხედავდა მის შესახებ.

1890 წ. მეტეხის მრევლმა და მღვდ. რუსიევმა მე მთხოვეს მეკისრნა ეკლესიის მნათეობის თანამდებობა და მეც ვიკისრე. ამ დროიდგან აღვძარით ფიქრი ეკლესიის შეკეთებაზედ და მოველაპარაკე აგრეთვე იმ დროს მყოფ სახელმწიფო მამულების გამგებელ ი. ხ. ყანჩელს, როგორათაც ადგილობრივ კეთილშობილთაგანს. ამ უკანასკნელმა სრული თანაგრძნობა განაცხადა და მაშინათვე, თანხმათ თხოვნისა, ეგზარხოსის პალატის მიერ იქმნა დაარსებული კამიტეტი. ამ კამიტეტში ირიცხებოდნენ: თავმჯდომარედ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი და წევრებად: ყოვლად სამღვდელო კირიონი, ი. ხ. ყანჩელი, დ. ი. მაღალაშვილი და მღვდელი გ. რუსიევი.

ეკლესია თხოულობდა შემდეგის შეკეთებას: შიგნით და გარეთ ნათალის ქვების გამოცვლას, გალესვას, იატაკის დაგებას, ახალი კანკელის გაკეთებას, ხატების შეძენას და სამხრეულების დახურვას. ყველა ამას უნდებოდა არა ნაკლებ 5000 მ. ნაღდ ფულად. ეკლესიას-კი ჰქონდა მხოლოდ 390 მან. საკუთარი ფული. ასეთ გარემოებისა გამო კომიტეტმა აიღო ნებართვა ეგზარხოსისა, რათა მოეთხოვნა ფულით დახმარება ყველა ამიერ კავკასიის დაწესებულებათაგან და შეკეთებას-კი შეუდგა მაშინათვე. მიეცა ყველა ზემოხსენებულ სამუშაოს გაკეთება იჯარით სხვა-და სხვა ხელოსნებს: ქვის მუშაობა 1,600 მანეთი, გალესვა გაჯით 400 მან., ქვის კანკელის გაკეთება 600 მან., მხატვარს—300 მან., ხოლო ყველა საჭირო მასალის შეძენა და მოტანა დაიკისრა კომიტეტმა. ამ რიგად დაიწყო საქმეები კომიტეტმა ერთი თვის შემდეგ თავის დაარსებიდგან, ე. ი. 1891 წლ. თებერვალში, თუმცა ფული ჯერჯერობით არსა მოეპოვებოდა-რა.

პირობის ძალით ერთ ხანად ხელოსნებს უნდა მისცემოდათ 600 მან. და წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარადრეს საქმეზედ ხელი უნდა აეღოთ, რის გამოც საქმე მიდიოდა ძალიან ცუდათ. საქმის დაპრკოლების, ასაცილებლად უნდა მიმემართნა რაიმე საშუალებისათვის და აღმომეჩინა წყარო. ერთად-ერთ საშუალებად ვიცანი კერძო ვალის აღება, რომ საქმე არ შეფერხებულიყო; მოთხოვნა-კი რაიმე ფულისა ადგილობრივი მკვიდრთაგან ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც იმ ჟამად მთელი სოფელი მასალის ზიდვას უნდებოდა.

დამთავრდა უკვე აღნიშნული საქმეები დიდის გაჭირვებით 1893 წელში, ნაწილი ჩემგან აღებულის ვალისა-კი დარჩა და სარგებლობდა, რის გამოც ფულის პატრონი იძულებული გახდა და მიჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან და აღმასრულებელი ფურცელიც აიღო. რაკი ძალ-ღონე აღარ საიდგან მოიპოვებოდა მოვალესთან გასასწორებლად მივმართე თხოვნით კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას და ამან გადასცა 300 მან. იმ პატივცემულ პირს, რომელსაც კორესპონდენტი იხსენიებს და ამ პირისაგან გადმომეცა მე 100 მან., რომელიც ჩავაბარე მოვალეებს. დამთავრდა-რა ეკლესიის შეკეთება 1893 წელში, დაბრკოლდა მისი კურთხევა ფულის უქონლობის გამო და კურთხეულ იქმნა მხოლოდ შემდეგში.

რაც შეეხება ადგილობრივ თავად-აზნაურობას, აი, იმათი რიცხვი და შეკეთებისათვის რაოდენობითი დახმარებაც: თავ. ა. ი. მაღალაშვილი ნივთიერად და ფულად 150 მან., ე. მ. მაღალაშვილი 50 მან., გ. დ. მაღალაშვილი 10 მან., მ. ხიმშიევი—15 მან., მ. გ. თუხარელი—ჭაღი, ი. გ. მაღალაშვილი—15 მ., დ. იაშვილი—15 მან., ს. დარიბოვი—15 მან., დ. კვალიევი—5 მან., ი. კვალიევი—15 მან., გ. ი. მაღალაშვილი—5 მან., ი. გ. მაღალაშვილი—15 მან., ი. მაღალაშვილი—5 მან., ზაქარია მაღალაშვილი—5 მანეთი, ი. ბოჭორაძე—5 მანეთი; იქმნა გამოგზავნილი ყაზახის მაზრის უფროსის ი. ხ. ყანჩელისაგან 100 მან., გორის მაზრის უფროსის თანაშემწე დ. დ. მაღალაშვილისაგან 100 მან., დ. თუხარლისაგან 20 მან., ი. ტ. კვალიევისაგან. 25 მან. და მუდმივი და მოუღალავი შრომა აღმოუჩინეს მთელი სამის წლის განმავლობაში შეკეთების დროს ყოველ გვარი მასალების მოტანის დროს მ. დ. მაღალაშვილმა და ი. ი. თუხარელმა.

ამ რიგად გათავდა ეკლესიის შეკეთება 1893 წელში ხსენებული კამიტეტის არსებობის დროს და ამის შემდეგ აღარაფერი არა კეთებულა რა ეკლესიაში და თუ მის გალავანში ამ ჟამად რაღაც ბოსელ საბძელ-საქათმე-სადორე შენობები სწარმოებს აპებზედ, მე ვგონებ, სრულიად არაფერი დახმარება არ მოეთხოვება ადგილობრივ თავად-აზნაურს. დასასრულ, არ შემიძლიან, არ აღვნიშნო, რომ ამ ორის წლის წინათაც პატივცემულმა „მოგზაურის“ რედაქტორმა სოფ. ქვემო-გომში დიდის აღტაცებით შეამკო აწ მყოფიყე მღვდელი და თავისს ვრცელ სიტყვაში ერთი უშველებელი ქარ-ბუქი მოახდინა წყლით სავსე ჭიქაში თუმცა-კი, გულ ახდით უნდა ვსთქვა, რომ ყოვლად ხსენებულ მღვდელს ისეთივე მონაწილეობა აქვს მიღებული მეტეხის ეკლესიის შეკეთებაში, როგორც მე ჩინელების მოძრაობაში.

დათიკო მაღალაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 მარტი

მადრიდი. ფინანსთა მინისტრი ვილლავერდე სამსახურიდგან გადადგა. როგორც ამბობენ, სამსახურიდგან გასვლა იმან გამოიწვია, რომ სხვა მინისტრებთან ვერ შეუთანხმდა ბიუჯეტის გაძლიერების შესახებაო. ფინანსთა მინისტრად როდრიგეც სან პედრო დაინიშნა.

ორანი. თანახმად მაროკკოს საზღვრებიდგან მოსულ ცნობათა, 1875 წელს მომხდარ აჯანყების წინამძღოლს ბუამამას წერილი მიუღია ტახტის მაძიებლისაგან,—გნიშნავ შეიჭედ ფიგიგისა და სრულიად მაროკკოს სახარისაო. ამასთანავე მოუწერია,—აისხი იარაღი და შემომიერთდი ქრისტიანეთა და მეგობარ-ფრანგთა წინააღმდეგ სალაშქროდაო.

ზემლინი. ოსმალეთში სერბთა განსაკუთრებულ ეროვნებად ცნობის შესახებ ცინცარ მარკოვიჩი აცხადებს,—სერბიის მთავრობას არა სწადიან ხელი მოუცაროს დიდ სახელმწიფოთა მოქმედებას და ამიტომ ჯერ-ჯერობით არ უნდა აღძრას ეს საკითხი. იგი დარწმუნებულია, რომ ძლიერი და ძმური სიყვარულით გასმსჭვალული რუსეთი, რეფორმათა შემოღების დროს ისეთს საღსარს იპოვის, რომ ოსმალეთის სერბებს მართებული უფლება მიანიჭოსო.

სტამბოლი. ფეთხი-ფაშა დარწმუნებულია,—რადგან ბულგარიას განკერძოებული მდებარეობა აქვს და ამასთანავე დანევიც საჭირო ღონისძიებასა ჰხმარობს,—წელს მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. ხონთქარმა ბრძანება გასცა ჯარებში,—დედა-კაცსა და ბავშვებს არ ესროლოთო; სარაფოვი ამით სარგებლობს და თავის ჯუფთების წინ ბავშვებსა და დედა-კაცებს აყენებს ხოლმე, რომ გაჭირვების დროს გაქცევა მოასწროს, სანამ ოსმალნი მეამბოხეთ დედა-კაცებისაგან გაარჩევდნენო. პოლკოვნიკი იანკოვი ამბობს,—დანევი მეტად სასტიკად სდევნის კამიტეტებსაო; მაკედონელ მეთაურებს გაასამართლებენ მეგობარ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ სამხედრო სამზადისისათვის.

ლონდონი. ოვისის სიტყვის დასასრულ ქვეყნის დაცვის საქმის შეცვლის შესახებ როზბერიმა სთქვა, რომ თუ ვინიცობაა ინდოეთის სამზღვარზედ რაიმე არევ-დარევა მოჰხდა, იძულებულნი არ უნდა ვიყვნეთ მშველელი ჯარი ვგზავნოთ იქ; უკეთესი იქმნებოდა საკმაო ჯარი გვყოლოდა თვით ინდოეთში. პარლამენტის მდივანი საადმირალო უწყებისაში ლორდი სელბორნი სცდილობს სასაცილოდ აიღოს როზბერის აზრი. მაშველი ჯარი, რომელსაც გავგზავნით გაჭირვებაში ინდოეთს, რათარიგო ჯარის კაცთაგან იქნება შემდგარი და ასეთი ჯარი უფრო იაფად დაგვიჯდება, ვიდრე ჯარების გამრავლება ინდოეთში მშვიდობიანობის დროსაო.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო პეტერბურგიდან დაბრუნებული ზღვათა მინისტრი ტირპიცი. სადამოზედ მათი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი სადილად ბრძანდებოდნენ რუსეთის ელჩთან.

14 მარტს.

კალკუტა. ინდოეთის ვიცე-კოროლმა კერზონმა წარმოსთქვა საბჭოში სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ინდოეთის ეხლანდელს გარეგანს ურთიერთობაში სხვა ქვეყნებთან ისეთი ცვლილება მოხდა, რომლის გამო ინდოეთი ჩაება მსოფლიო პოლიტიკის ფერხულშიო. ინგლისი, რუსეთი, გერმანია და ოსმალეთი აზიის დიდ სახელმწიფოებად გახდნენ. ინდოეთის მშვიდობიანობისათვის საჭიროა, რომ აზიის მცირე სახელმწიფოები,—იაპონია, ჩინეთი, ტიბეთი, სიამი და სპარსეთი,—არ დაემორჩილონ მტრის გავლენას. ჩვენი ქვეყნის მომავალი მოღრუბლულია. ინდოეთს უჭირავს პირველი ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში, ამიტომაც საჭიროა ეს ქვეყანა ჯეროვნად შეიარაღებული იყოს და საკმარისის ციხეებითა და ჯარებით დაცული.

პეტერბურგი. უმაღლესად დაარსებულმა საგანგებო საბჭომ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ 25 იანვარს დაადგინა: მიენდოს მიწად-მოქმედების მინისტრის განსაკუთრებულს მზრუნველობას შემუშავება და აღსრულება იმ ღონისძიებათა, რომელნიც საგანგებო საბჭომ სასურველად სცნო, სახელდობრ: გაუმჯობესდეს შინაურ წვრილ ფეხის ჯიში, რომელსაც რუსეთში აჩენენ; გაუმჯობესდეს ტეხნიკური მომზადება და შემუშავება ფრინველთა გაშენების ნაწარმოებისა; გავრცელდეს სპეციალური ცნობები, რომელიც საჭიროა წესიერის და სარგებლიანის მეურნეობისათვის წვრილ-ფეხის გასაშენებლად; ხოლო რაც შეეხება იმ ღონისძიებას, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს შენახვა, გადაზიდვა და გასაღება წვრილ-ფეხის გაშენების ნაწარმოებისა,—ამ საქმის განხილვა მიენდოს საგანგებო კომისიას მიწად-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით. ეს დადგენილებანი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნენ 28 თებერვალს.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.
3) დავა იაკობ გვაზავასი და ანთიმოზ სალოქვაძისა.
4) დავა მარკოზ მურადოვისა და ნ. კახიძისა.
5) დავა ალექსანდრე არხიპოვისა და ბესარიონ ფხაკაძისა.
1) სამსონ და ელისაბედ მატკონოვისა და გორა და ნიკოლოზ ნადირიაშვილისა.
2) ალექსანდრე მელიქ-ბეგლიაროვისა და ექვთ. ხელაძისა.
3) მარ. ცივცივაძისა და ვასილ წულაიასი.
4) ფირანა დავითაიასი და თეიმურაზ ჩაჩიავასი.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით იუწყება, რომ ამა წლის მარტის 19, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდება საჯაროვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის კუთვნილი მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ზომით 450 ოთხ კუთხი საჟენი. საზღვრები: ჩრდილოეთით—მუშტაიდის ვიწრო ქუჩა, აღმოსავლეთით—ანდრიევის ქუჩის გაგრძელება, სამხრეთ—ქალაქის მიწა, სადაც შეშისა და ხე-ტყის საწყობია.

მსურველთ პირობების შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილნი კონვერტები მიიღება საჯარო ვაჭრობის დღის 9 საათამდის. (2—6—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს ყველა იმ პირთ, რომელთაც სურთ იკისრონ ტფილისის ცეცხლის
მქრობელ რაზმისათვის შენობის აგ
იჯარით ან სულ მასალიანად ან ნაწ
ნაწილად: ქვისა, სადურგლო, საკალ
ტოზო და სხვა სამუშაო. შენობის აგ
ბა უნდა დამთავრდეს ამ წლის პირვე
სექტემბრისთვის, ვინც სამუშაოს ერ
რომელსამე ნაწილს იკისრებს, უნ
აღნიშნოს ვადა, როდისთვის დაასრ
ლებს ნაკისრ მუშაობას. სამუშაოს სწ
რედ გაკეთებისა და მასალის ვარგის
ბის უზრუნველ ყოფისათვის მოიჯარ
დრეს გამოერთმევა ბეთ 10% მუშა
ბის ან მასალის ღირებულობისა. მსურ
ველთ განცხადება უნდა წარუდგინ
გამგეობას მარტის 22-ს ნაშუადღევის ორ ს
თამდე. გეგმისა, ხარჯთ აღრიცხვისა
პირობათა ნახვა შეიძლება გამგეობ
საამშენებლო განყოფილებაში ყ
ველ დღე, კვირა უქმეების გარდა, შუ
დღის 12 საათიდგან ნაშუადღევის
საათამდე. (3—6—2)

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

„შეშან“

გამგეობა იწვევს ბ-ნთ პაის პატრონთ
ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელ
მოხდება კვირას 23 მარტს, დილის 10 საა
ზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, შედეგი მოქმედების ფაქტიურ რევიზიის ვაჭრო
სას და ამხანაგობის ანგარიშს—პირველი
ვაჭრო წლისას.

2) შემოკლებულ ანგარიშის ამხანაგობ
1902 წ. 1 მარტიდან, 1903 წლის პირვ
იანვრამდე.

3) მოხსენება მმართველობისა ამხანაგო
მოქმედების შესახებ 1903 წელს.

4) მმართველობის წევრის ამორჩევა მ.
ოჰანეზოვის მაგიერ, რომელმაც თავი დაა
ბა ამ თანამდებობას.

უკეთუ წევრების კანონიერი რიცხვი
შეკრიბა, იმ შემთხვევაში 29 § პირობი
მებრ, მეორე კრება დაინიშნება 30 რიც
ამა მარტისას დილის 10 საათზე, რომელ
ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც
და დაესწროს. (1—55—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—7)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობ**
პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარვ
ლობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებ
სა, საქირურგო, დედათა და თვალით ავა
მყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებ
და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კ
ბინეტით. გადამდების სენითა და სული
ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. სა
ყობში ყოველთვის ძოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მ
წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთე
ლობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის
ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხ
წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის
თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სუ
ნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები
სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ
ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 14 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.